№ 179. 27 აგვისტო, პარასკევი. 1866—1882 27 აგვისტო, პარასკევი. № 179.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში, კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (ვერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

**„დროების" ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა . . . | 9 მან. | სამის თვისა . . . | 3 მან |
| ექვსის თვისა . . . . | 5 მან. | ერთის თვისა . . . | 1 მან. |

**ფასი განცხადებისა**

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ. [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივი ასოთი სტრიქონზე 8 კაპ.

თუ ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ექვსი შაური.

## ტელეგრამმა

(„ჩრდილო-რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსი")

**პეტერბურღი, 24 აგვისტოს.** „მმართებლობის მოამბის" სიტყვით გუშინ დაესწრნენ მანევრებს ფლოტის ტრანზუნდში.

გუშინ დაიწვა მოსკოვში ტეხნიკური კრება 600 კაცამდეა დამსწრე.

შინაგან საქმეთა მინისტრი ათვალიერებს პოლესიეში ტბების დაშრობის მუშაობას.

„ნოვოე ვრემია" გვაცნობებს, რომ სამხედრო სასწავლებელთა გამგეობა ამუშავებს ახალს წესებს ამ კურსებისას. მასწავლელთ არ ექნებათ ნება გასწ...ა სამხედრო სასწავლებლებისა კიდე ...ვიდნენ სხვა სასწავლებლებში.

ტურგენევი ძალიან უკეთ არის.

**პეტერბურღი, 25 აგვისტოს.** მინისტრთა კომიტეტის თავჯდ-მჯდომარე, ...ფი ბარანოვი დროებით დათხოვ...ლია სამსახურიდამ საზღვარ გარეთ, ...ის მაგიერ დაინიშნა დელიანოვი.

გუშინ მოვიდა პეტერბურღში თა...ვი ჩერნოგორიისა; გზაზედ თანა...ხლობით ხვდებოდნენ.

„გოლოსის" სიტყვით ეპარქიალურ კრებათ აღარ ექნებათ უფლება აირჩიონ სასულიერო სასწავლებელთა უფროსი-ქალები.

ინგლის. გაზ. „ტაიმსის" სიტყვით არაბი-ფაშასა და ხონთქარს შორის აღმოუჩენიათ საიდუმლო მიწერ მოწერა ურთი-ერთ შორის თანხმობისა.

**სტამბოლი 25 აგვისტოს.** გაზ. „ვაქითში" დაბეჭდილია აფიციალური ცნობა, რომლითაც არაბი-ფაშა აღიარებულია მოჯანყედ.

**პეტერბურღის ბირჟა, 23 აგვისტ.**

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 94 — | 87 |
| მეორესი — — — — | 90 — | 87 |
| მესამესი — — — — | 90 — | 62½ |
| მეოთხესი — — — | 90 — | 50 |
| მეხუთესი — — — | 90 — | „ |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 89 — | 62 |
| აღმოსავლეთის მეორე | 89 — | 37 |
| აღმოსავლეთის მესამე | 89 — | 37 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8 — | 22 |

შინაგანის 5% სესხის ბილეთები:

| | | |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 215 — | „ |
| მეორე სესხის — — | 211 — | 25 |

100 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 24 — 03 | პენსი |
| ჰამბურღი — | 205 — „ | ცენტი |
| პარიჟი — — | 252 — „ | სანტიმი |
| ბერლინი — | „ — „ | პფენიგი |

## საქალებო საექიმო კურსების შესახებ.

„დროების" მკითხველები უკვე წაიკითხავდნენ ტელეგრამას, რომელმანც გვაცნობა პეტერბურღში საქალებო უმაღლესი საექიმო კურსების მოსპობა უზენაესი ბრძანების ძალით.

ეს გარემოება დიდად სამწუხარო უნდა ჩაითვალოს მთელი რუსეთისათვის, და, აი, ამისთვის გვსურს მოველაპარაკოთ მის თაობაზედ მკითხველებს.

რუსეთში ქალებისთვის განათლების საჭიროება დამტკიცდა სამუდამოდ ამ ოცი წლის განმავალობაში; თვით რუსეთის ცხოვრება ისეთ ნაირად იქმნა მოწყობილი, რომ ქალების განათლების შემოღება აუცილებელი შეიქმნა: თავის დროს რუსულ მწერლობამ დიდი, დაუვიწყარი და ნაყოფიერი სამსახური გაუწია რუსეთს ეგრეთ წოდებულ „საქალებო კითხვის" აღძვრით და მისი საფუძვლიანი შემუშავებით—და ბევრი ღვაწლი დასდო მისთვის. ამის წყალობით არამც თუ რუსეთის საზოგადოების საუკეთესო ნაწილი, არამედ თვით მართებლობაც დარწმუნდა იმ ჭეშმარიტებაში, რომ ქალებისთვის საჭიროა ისეთივე აღზრდა და განათლება, როგორიც საჭიროა ვაჟებისთვის. თვით ქალებში განძლიერდა სურვილი სწავლისა, რადგანაც ეს შეადგენდა ცხოვრების აუცილებელ მოთხოვნილებას. რადგანაც იმ დროებში თვით რუსეთში შეუძლებელი იყო ქალებისთვის სწავლის სურვილის დაკმაყოფილება, ამისთვის მრავალნი მათგანნი მიესწრაფებოდნენ საზღვარ გარეთისაკენ, შვეიცარიაში და საფრანგეთში, განათლების მისაღებად. იმ დროებში თითქმის მოდად გადაიქცა ჩვეულება სამშობლო ქვეყნიდგან გამგზავრებისა იმის საძებნელად, რისიც მოპოება მხოლოდ უცხოეთში შეიძლებოდა—და არა რუსეთში. ეს გარემოება არა-ფრად ეჭაშნიკა რუსეთის მართებლობას; იგი ფიქრობდა, რომ ქალების ახალი თაობა შეიქურევება ესრეთ მის მიერ წოდებულ მავნე აზრებით და მით შემოიტანს რუსეთის ხალხის ცხოვრებაში ამ უკანასკნელის ბურჯების შემარყეველ ელემენტს.

მართებლობამ „სამწუხარო მოვლენის" მოსასპობლად გამოსცა ბრძანება, რომლითაც გამოიწვევდა საზღვარ გარეთ წასულ ქალებს. მან იკისრა სამხედრო სამინისტროის ხელით დაფუძნება ქალებისთვის უმაღლესი საექიმო კურსებისა, რომლებმაც სახელი გაითქვეს, პატივი დაიმ-

## „დროების" ფელეტონი, 27 აგვისტ.

### რამე-რუმე

ანუ ღამის გუშაგნი.

(სურათი)

> დიახ, ლუტერს კარგად ესმოდა, რაში იყო საქმე, როდესაც გაუწუწუნა ეშმაკს თავში საწერელი! მხოლოდ მელნისაღა ეშინიან ეშმაკს, მხოლოდ იმითიღა შეიძლება მისი გაპანჩურება-გაძევება.
>
> ბერნე.

...ის საღამოა, მშვენიერი და გრი...ლ. ...ერთ პატარა მაზრის ქალაქში ბაღ...ში უკრავს სამხედრო მუზიკა. ხალხი ...მ...დ არის. არშიყობას და თვალის ...ს არა აქვს საზღვარი. მაისია და! ...ლეზიანები იკლებენ ბაღს, კურიან...ს ...ყენებენ, ხან იქ მიეჭრებიან ...ქალიშვილებს, ხან აქ. ეგენიც დიდ...და ლირსებად ჰხადიან, რომ ...ის ყუყუჩა ბატები იმათ თავს ...ვლიან, ამაყობენ, ყელის ჯორო...ს. ... კი აღარ იციან, რომ ის პარ...ზინ...ყები, ის პირში მელები, ... განზე თავსა სჭრიან საზოგა...ში ამ ჩვენ ქალებს, ჩვენს მხო...ბ გვაროვნებით და ჰაერით—სხვა ...ბისა იმათ აღარ ეტყობათ-რა; ჩრდილოეთის განათლებამ ჩ ჰყლაპა დანარჩენი მათი სიკეთე. — ბაღში როტონდის კუთხის სკამზე, სხედან ოთხი საქართველოს განმანათლებელნი: სამი სამხედრო წოდებისა, ერთი სამოქალაქოსი. ეს უკანასკნელი ყველაზე საყურადღებოა. თავით ფეხებამდე რგვალი, როგორც გაბერილი კოლოტი, მუცელი რგვალი, წინ წამოწეული, რომელსაც შემთხვევასა-დაგვარად შეუძლიან სკამობა გაუწიოს. თავი გაწოწლოკნავებული, შუბლი დაბრეცილი, რომელსაც ჰფარავს გამოლილ-გაწეწილი ქერა თხელი თმა; თვალები ჭრელი ერთობ და ისეთ საოცრად დაჭყეტილი, თითქო ყელში თოკი წ უჭერიათო და ბუდიდამ გადმოსცვივნიაო; იმათი შეხედვა კაცს უნებლიედ ტანში გააჟრჟოლებს და გულს აურევს; კბილები ბებერი მაიმუნივით ჩახავსებული, საიდგანაც მარად ამოსთქეშავს არაყით და ღვინით შეზავებული სუნი, რისგამოც ცხვირი, ტანჯული ამ ნაირის ბუკეტების ყნოსვით, პირს შემოსწყრომია, წვერი მაღლა აუშვერია, მაგრამ—დალახვრა ღმერთმა!—საშიშარი თვალების დამნახავი, ჩაძვრენილა, ჩაკუზულა, მოკრთალებით ზის და ისეც ჭყუტა უფრო გაჭყუტებულა. ამ კაცის ტანის აგებულობაში, ყველაზე შესაცოდარი ეს ჭყუტა ცხვირია. ზას ეს ვაჟბატონი იმ სამ აფიცარს შუა; უკაცრავად, ზის კი არა, გდია როგორც ტომარა.... მთვრალია ულმერთოდ, თვალებს მგელივით აბათებს, აზრჭყვიალებს, გადად-გადმოდის სკამზე; არც მეზობლები ჩამოურჩებიან. შეხედულობა ამ გმირებისა შესაზარი იყო. ასფსუსი არ არის-მეთქი, ვიფიქრე, რომ ესენი ყვავ-კაჭკაჭის საფრთხობელად არა სდგანან სიმინდებში და ვენახებში!

ამ ყოვლის ღირსებით შემკულ-შეზავებულმა ბატონებმა გააბეს შესაფერი მათის მყრალის გვამისა ლაპარაკი. ლაპარაკი იყო რუსულს ენაზედ.

— დიდი ხანია თქვენ კავკასიაში ხართ?—ეკითხება გაბერილი კოლოტი დანარჩენებს.

— რა ბრძანებაა! ჩვენ მხოლოდ წელიწადია, რაც ამ არტილერიაში გადმოვედით.

— ჰმ! მაშ თქვენ აქაურს ქალებს არ იცნობთ? ჰე! არ იცნობთ?

— ისე რაღა, კლანჭს ვსდებთ კნიაჟნებს და როგორღაც გამოვდევეთ.

ღიპიანი მოჰყვა ბუხბუხს სიცილის მაგივრად და სიამოვნების ნიშნად დაღეჭინა გაბრაზებული მაიმუნივით კბილები.

— აქაური ქართველი ქალები, დაიბუხბუხა მაიმუნმა, აქაური ქალები!! ერთი კი დაუწრუწუნე და—ჰაიდა! როგორც გინდა, როგორც გსურს, მერე თუ რუსი ხარ და ისიც აფიცერი—უუუ! საქმე კარგად წავა. Къ военнымъ такъ и льнутъ, потому что патріотки! (სამხედროებს ეკრობიან, ამიტომ რომ პატრიოტკები არიანო), სთქვა გრიბოედოვმა რუსის ქალებზე; მე კი ამ სიტყვებს ასე შევსცვლიდი: ქართველი ქალები ეკვრიან რუსებს, იმიტომ რომ..... რომ ჩვენ ლამაზები ვართ, არა, უკაცრავად, რომ..... მ..... ჩვენ ზნეობით მაღლა ვსდგევართ ყველაზე. სად რა იყო აქა: ტანციობა, მუზიკა, ტანთსაცმელი, ლოთობა, პრანჭიობა, ლაქიობა, ვეტერკლოზეტების დასუფთავება, ქალების დევნა და სხვ. და სხვ. სულ ჩვენ შემოვიტანეთ. თქვენ წარმოიდგინეთ: რა ეშველებოდა საქართველოს! სიმყრალის სუნით დაიხრჩობოდა, რომ ჩვენი სალდათი არა! ჰხედავ, ვინ სწმენდს და ასუფთავებს ადათხანებს? ჩვენი სალდათი. მააშ!!

— ჩვენ ეგ არ ვიცოდით; მაშ უნდა ავართვათ პირი!—სთქვეს აფიცრებმა.

— აი მე ერთი მაგალითი გითხრათ: ჩვენ დაგვპატიჟეს აქეთ ერთი

სახურეს და ამ ჟამად უზენაესი ბრძანებით სული დალიეს.

რასაკვირველია, რუსეთში ამისთანა სასწავლებელის დაარსება დიდად სასარგებლო იყო თვით ქალების ახალი თაობისათვის, რადგანაც უცხოეთში განათლების მიღება უმრავლესობისათვის დიდად გასაჭირი იყო ბევრის მხრით: მაგალითად, უცხო ენების უცოდინარობა, მატერიალური საშუალების ნაკლებლობა და სხვ. შეადგენდნენ დიდად დამაბრკოლებელ მიზეზებს ქალებისთვის უცხოეთში განათლების მიღებისათვის.

როცა კი საექიმო კურსები დაფუძნდნენ პეტერბურღში, მას მერმედ, თან-და-თან მცირდებოდა უცხოეთში მიმავალ ქალების რიცხვი. თავისი მოქმედებით მმართებლობამ დასდო პატივი საზოგადოების და მთელი რუსეთის სურვილს და მოთხოვნილებას. ამით მიეცა ფართო გზა საქალებო განათლებას რუსეთში და საუკეთესო ნაწილი რუსთ ქალებისა სიმხურვალით, ალტაცებით და თავგანწირულად მიეცა განათლებას, თუმცა მას შეხვდა მრავალი დაბრკოლება თავისი წმინდა მიზნის მისაღწევად.

საქალებო განათლებას თუ მხურვალე მომხრენი ჰყავდა რუსეთში, მაგიერადაც ბევრი მოსისხლე მტერებიც აღმოუჩნდნენ არა მარტო საზოგადოებაში, არამედ თვით მწერლობაშიაც. ამასთან ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ყოველი ახალი აზრი თავის შექმნის და აღორძინების დროს ასტეხს ცხოვრებაში ერთის აყალ-მაყალს, და ბევრნი შესცქერიან მას თრთოლვით და შიშით. ამისთანა შემაფერხებელ მიზეზების გარდა, უნდა მივიღოთ მხედველობაში სიღარიბე იმ წრისა, რომლიდგანაც გამოდიოდა უმეტესი ნაწილი სწავლის მსურველთ ქალებისა.

ამ გვარ შეუნატრელ გარემოებათა ვერ შეაშინეს ახალ-გაზდა ქალები და ვერ შემუსრეს მათი სწავლისადმი ლტოლვილება.

ახლად-დაარსებული კურსები მალე აივსნენ მსმენელ ქალებითა, რომელთაც გამოიჩინეს ბევრი მეცადინეობა და მოთმინება ცხოვრებასთან ბრძოლაში. თან-და-თან ამ კურსებმა დაიმსახურეს საზოგადოების და მთავრობის ყურადღება და თან-და-თან მატულობდა რიცხვი მსურველთა სწავლისა, რადგანაც ერთის მხრით თვით რუსეთის ცხოვრებაში და საზოგადოებაში იზრდებოდა საქალებო განათლების მოთხოვნილება და საჭიროება, მეორეს მხრით თვით საფუძვლიანად დაარსებულმა კურსებმა შეიძინეს პატივი საზოგადოების წინაშე.

ამ კურსებმა სახელი მეტად გაითქვეს წარსული ომიანობის დროს, როცა მმართებლობას დასჭირდა ექიმები ჯარებისა და საავადმყოფოებისთვის. ამ დროს მოსწავლე ქალებმა იკისრეს დიდი და მძიმე ვალი; იმათ გაემგზავრნენ ომის ველისაკენ და თავგანწირულად უვლიდნენ და ექიმობდნენ ავადმყოფებს და ემსახურებოდნენ იმ მაღალ და დიდებულ მიზანს, რომლის მისაღწევად იდვეს კისრად იმოდენი ტანჯვა, რამოდენიც რგებია საზოგადოდ მთელს მრავალ ტანჯულ ახალგაზდობას.

რუსულ მწერლობამ მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას და ქებას შეასხამდა რუსეთის ქალის თავ-განწირულებას, მამულისადმი სიყვარულს და განუსაზღვრელ კაცობრიულ გრძნობებს. მმართებლობაც ცხად და აშკარად დარწმუნდა ამ ჭეშმარიტებაში. ყველა, ვისაც გონების დაღი ედო შუბლზე, დარწმუნდნენ საქალებო საექიმო კურსების სარგებლობაში და საჭიროებაში; ყველა ჰფიქრობდა, რომ საქალებო განათლებამ გაიდგა რუსეთში მაგარი ფესვები.

ომიანობის შემდეგ მრავალმა გამოჩენილმა პროფესსორებმა, რომლებიც დაესწრნენ კურსების მსმენელთა გამოცდაზე (ეგზამენი), დარწმუნდნენ ახალ-გაზდა ქალების საფუძვლიან ცოდნაში და საზოგადოდ აღიარეს თავის აზრი მწერლობის საშუალებით. მის შემდეგ, როცა ზოგიერთმა ქალებმა დაასრულეს კურსი და გაიდნენ ცხოვრების ასპარეზზე, ხშირად იწერებოდნენ გაზეთებში ახალგაზდა ექიმი ქალების სინიდისიანობაზე და შრომაზე; ზოგიერთმა მათგანმა შეადგინეს მეცნიერული თხზულებანი და მიიქციეს სწავლულების ყურადღება. ერთი სიტყვით საექიმო კურსებმა დაიმსახურეს დიდი ყურადღება და თვალში ჩხირად ედოთ იმათ ვისაც ქალების განათლება მათი გონებითი და ზნეობითი გარყვნილად მიაჩნიათ.

ამის შემდეგ გავიდა რამოდენიმე წელიწადი, შეიცვალა სცენა, მისი მორთულობა და ეწია სხვა არა შესაფერი, ბედი საექიმო კურსებსა.

ამ მოკლე ხანში სამხედრო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ მას არ შეუძლია კურსების შენახვა, რადგანაც ეს არ შეეხება მის პირად მოვალეობას.

პეტერბურღის თვით-მართველობამ განაცხადა საექიმო კურსების მიღების სურვილი თავის გამგეობაში. სამინისტრომ თანხმობა განაცხადა.

საზოგადოების გონიერ ნაწილმა აცქვიტა ყურები და იკისრა მატერიალური საშუალების მოპოება და მით კურსების დახმარება.

გავიდა ცოტაოდენი ხანი და ერთბაშად გამოვიდა ბრძანება, რომლის ძალითაც მოისპო საექიმო კურსები; არც პეტერბურღის თვით-მმართველობის თხოვნა და სურვილი, არც საზოგადოების გულითადი წადილი, არც მწერლობის ღაღადება არ უყვნენ მიღებული მხედველობაში, და განქრა დედამიწის ზურგიდგან ის მშვენიერი ქანილება, რომლითაც რუსეთს შეეძლო ემაყნა მთელი განათლებული ევროპის წინაშე; ამით აღსრულდა გულითადი წადილი იმ ქვემძრომლებისა და სიბნელის მოყვარეთა, რომლებსაც ყოველი სხივი სინათლისა უბრმავებს თვალთა მხედ-

---

სოფელია, ლამაზი ქალების ბუდე, ქორწილში; ჩემი ბატონიც იქ ვახლდათ. დავერიენით, ბატონო, ქალებს და რიგი ხელზე ვკოცნით. რიგი სად და რიგი სად, კინაღამ ერთ კაცს ცოლი არ წავართვი და ჯვარი არ დავიწერე. მერე, ვითომ ხმას გაგცემს ვინმე თუ! რუსეთში არ არის: წაეტორლიალები თუ არა ქალს ისე ცუდის განზრახვით და მაშინვე ალიყური ყბაში!! ჩვენში ერთობ დაცულია ზნეობა.—ახლა მე სადაც მინდა შევალ, რომელ ქართველ ქალსაც გინდა შევიყვარებ და... მააამ!!

ასე ებაასებოდა ის არა-კაცი, ის ქვეყნის მაიმუნი, ზნეობით მყრალი ბატონი აფიცრებს. მე, საწყალი მეფელეტონე, ხესთან ატუზული ვიყავი და სიბრაზით ტუჩ-ფჩხილი დავიჭამე: „დაიცა, ვამბობდი, წყლის კოკა წყალზე გატყდება მეთქი“. ისე ამათზე არ მომდიოდა ბრაზი, როგორც იმ ქართველებზე, რომლებსაც ასე უმართებულოდ იხსენიებდა. იმ სოფლელებმა რად მიუშვეს იქნამდინ საქმე-მეთქი, რომ ასე ალაპარაკებენ? რატომ ბეჭის ფრთებზე ტყავი არ ააროთვეს, რომ კვლავ აღარ შესულიყვნენ მუხუდოში!! რა კაცი გვიწუნებს ზნეობას, რა კაცი დაგვცინის! წარმოიდგინეთ სადამდინ დავდამბლდით!—ვამბობდი მე ჩემს გუნებაში.

დაღამდა. ვაჟ-ბატონები კვლავ ემთხვივნენ ბახუსს, ჩალიეს. იკითხამს, მკითხველი, ნეტა თუ ვინ არიან ეს ჩვენი განმანათლებელნიო? რას გიკვირსთ; ამ განმანათლებლებით სამსეა ყოველი საქართველოს კუთხე, ყოველი ქალაქი.

მაგრამ, იქნება, ამისთანა კი არ მოიძებნებოდეს. ის მქადაგებელი, ის მშვენიერებით აღვსილი გვამი გახლავთ ხსენებული ქალაქის სავაჟო და ახალ-გაზდა ქართველ და სომეხთ ქალწულთა ქალთა სასწავლებელის მასწავლებელი, ბ. ა. ვ. ი....კო.

ღვინომ დააცხუნა ბატონი პედაგოგი. გადიღელა გული და გულის ჯავარი მიუშვირა ზენა ქარს.

—იცით, ყმაწვილებო, ამბობს პედაგოგი, მე ერთი საბანავო ვიცი ცხეს იქიდამ ხიდთან, სადაც, გარშემო, ქართველი მოსახლეები სდგანან. მე იქ ყოველ საღამოს დავიარები საბანაოდ; იქ ერთ სახლში ორი ლამაზი ქვრივია უპატრონოდ; მე მითქვამს და თქვენ ჩემი სურვილი შეასრულეთ. ეს ხომ თქვენი ხელობაა, მხედრები ხართ; ერთი ისინი—ჰა, იქ წყალში, ჰა!—და აქ იმოდენი ნერწყვები მოადგა მხეც-პედაგოგს პირში, რომ კინაღამ დაიხრჩო.

—

ხიდის ახლო, რომელ ქვეშაც გამოქშუის მდინარე მეჯუდა, ატუზულა მიგრეხილ-მოგრეხილი აღიზის სახლი; ბალკონი ამ სახლისა ჩაშლილი; ბოძები, რომელზედაც დანდობილია ბალკონი, წაღრეცილან, თითქოს მოსწყენიათ ტვირთის ტარება და ზურგიდან ჩამოღება უნდოდეთ. ჟავარი სახლს ზედ დალპობია; პაწაწა ფანჯრები გატალახიანებული და შეჭანგულია. სანახაობა ამ სახლისა ამტკიცებდა, რომ შიგ მდგომი ძიღღარიბი ვინმე უნდა ყოფილიყო. ვანო მაჩაბელაშვილი, პატრონი ამ სახლისა, არის ხელობით მჭედელი; საცოდავ ქართველს—ვანოს წუთი სოფელი არ ასვენებს: ხან ვინ მოუკვდება და ხან ვინ: ესეც ნამუსის კაცია, ესეც ქართველია, რა ქნას უნდა მკვდარს რიგიანად მოუაროს. ძმები და დები მჭედელ ვანუას თავს დააწვნენ. ერთი და გაათხოვა, დაუქვრივდა და ისიც თავს დააწვა. თავის მარჯვენის შეძაცქერალია, ამითი ცხოვრობს და აცხოვრებს სახლობას, ნამუსის ქუდი ჯერ არც მოხდია და, მინამ პირში სული უდგია ვანოს, ვერ-ცაოავინ მოხდის. ვანო თავის ნამუსიანობით და ადამიანის სიყვარულით ამ ქალაქის ხელოსან ბიჭებში განთქმულია, რომ იტყვიან: „თვალში, რო ჩაუვარდეს ვისმეს ეს ბიჭი, ხელს არავინ ამოისვამსო“, სწორედ ასეთი იყო ვანო. იყო თავისთვის, სჭამდა ტკბილს, თუმცა კი სისხლის ოფლით ნაშოვნს, ერთ ლუკმა პურს.

აი ამ პატიოსანი მუშა-მოწაღმართის სახლთან ჩამოვიდა საბანაოდ მხედრებით პედაგოგი ალექსანდრე ვასილიჩი. ამ ღარიბ ქოხში შეენიშნა ორი ქალი, დები პატიოსანი მუშა-ვანოსი, იმ მუშა ვანოსი, რომლის სისხლის ოფლით მოგებული გროშები იმის, პედაგოგის, ჯიბეში ჩადიან და ასუქებენ მის წურბელა გვამს.

მჭედლის სახლში ფისოსი ანთია. შაბათი საღამოა და ეტყობა ვანო, შემდეგ ერთი კვირის დაუღალავად მუშაობისა და ცეცხლის ალთან ტრიალისა, თავისე თან ზის, ან ჰყავს ვინმე გულის საყვარელი მეგობარი და ებაასება. სწორედ ასეა: დებს გაუშლიათ ფარდაგის ნაგლეჯი, ბალკონზე გამომსხდარან; ძმა—ვანო მოსჯდომია მეგობარს-ბიჭს, ხელადა მოუდგამს, წითელი ღვინით სავსე ჭიქას ჩამოპარაკებს; წინ ყველი, პური, მწვანილი და დოშის ნაჭრები უყრიათ; კარი გამოღებულია ბალკონზე და დებს შორით შესტრფიან ძმას; გული იქამდინ ემსებათ ძმის სიყვარულით, რომ თვალებში ცრემლებად ადგებათ.

—ეჰ, დალიე, ძმაო, ე მუხრანული! ეს ღმერთმა აღდეგრძელოს ის კაცი, რომელიც ქვეყანაზედ ნამუსით და მარჯვენით ცხოვრობს!—სთქვა ვანომ და ჩაწუწნა ჭიქა.

—შენც ღმერთმა აცოცხლოს, ბიჭო, რომელიც მეგობრის გულისთვის თავს არ დაიზოგავს, სთქვა და იწყვიტა სტუმარმა ღვინო; დალიე ბიჭო, გამოვცალოთ ბარემ ე ხელადა, შუა ღამე გაწონილა.

—ნეტავი შენა, „ურიას ერთ დღე მოუვიდა, ისიც შაბათო“, ჩვე-

...ობას და უფანტავს გონებას. სა-
...ქრებელი იყო, რომ საზოგადოების
...ერილი, მისი წარმომადგენლების
...ხონა და მწერლობის ხმა მიღებულ
...ქმნებოდნენ საქმეში, მაგრამ მოხდა
...ნააღმდეგი; რუსეთში ხშირად შეხვ-
...ება კაცს იმისთანა საგნების გმობა,
...რომელნიც აღიარებულ არიან ზო-
...ერთ სხვა ქვეყნებში ხალხის კე-
...ილ დღეობის და ბედნიერი მომა-
...ლის ბურჯად.

...საქმეო კურსების მოსპობით საქა-
...ებო განათლებას მიეცა დიდი ზია-
..., რადგანაც უმთავრესს საჭიროებას
...ესეთის ცხოვრებისას არ მიეცემა
...დაკმაყოფილება. ამით, რასაკვირვე-
..., ვერ მოისპობა საზოგადოების
...თხოვნილება, რომელიც კარგი ხა-
... რაც არის აღძრული და არის
...ნიერი შედეგი ძე-60 წლების
...ფერმებისა. დაუკმაყოფილებელი
...თხოვნილება საზოგადოებისა თვი-
...ნ მიიპოვებს თავის გზას და გა-
...ურძნობს არსებობას. ძღევ განიძე
...რებდება ის მოვლენა, რომელიც
...ასპი რუსეთში საქალებო კურსების
...ოსპობამ, კიდევ გაესწრაფებიან სპე-
...ალური სწავლის მსურველნი ქა-
...ები უცხოეთისაკენ; ამით მხოლოდ
...ფერხდება საქალებო განათლება
...უსეთში და მოსპობით კი ვერ მო-
...სპობა სურვილი სწავლისა.

...ასრულდა ვულითადი წადილი იმ
...ბჭისა, რომელიც სცდილობს, რომ
...ველი წინ წადგმული ნაბიჯის მა-
...ერ ერთი ან ორი ნაბიჯი უკანვე წაადგმევინონ ხალხსა და საზოგადოებისა.

ა. ნა—ლი.

## დღიური

ჩვენ შევიტყვეთ სანდო პირისაგან ერთი ფრიად შემაძრწუნებელი ამბავი, რომელსაც აქვე ვაცნობებთ ჩვენს მკითხველებს:

„სამშაბათს, 24 ამ თვეს, გზის შესამოკლებლად მე დაუყევი ბაქოს რკინის გზის რელსებზედ. სტრელკოვის კაზარმებისა და არსენალის შუა იდგა სამუშაო ვაგონები. როდესაც მათ ჩაუარე გვერდით, ერთი საქონლის დასაწყობ ვაგონიდამ რაღაც საშინელი სუნი გამოვარდა. ამ სუნმა ცნობის მოყვარეობა აღმიძრა და შევიხედე ამ ვაგონში; დავინახე, რომ ეს ვაგონი რაღაცით სავსე ტომრებით თითქმის პირთამდის სავსე იყო. მინდოდა თავი დამენებებინა წავსულიყავ ჩემს გზაზედ, მაგრამ აქ ჩემი ყურადღება მიიქცია შემდეგმა გარემოებამ: ტომრებს ქვეშ დავინახე თითქო ვიღაც ერთის თვალით მიყურებდეს. ცნობის მოყვარეობა უფრო მეტად აღმეძრა. მივედ გადავსწიე ერთი ტომარი, გადავსწიე მეორე, (ესენი ცარიელები იყვნენ); ამ ნაირად გარდავსწიე რამდენიმე ტომარი, და ბოლოს ისეთი საზარელი სუნი მეცა, რომ კინაღამ იქვე წავიქეცი. ჩემ თვალთ წინ ეგდო გაშხლართული მკვდარი კაცი. ტანზედ ძველი, დაგლეჯილი ტილოს მოკლე სერტუკი ეცვა, შარვალიც ამნაირივე, ხოლო ჩექმები ახალი, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, კარგა ხნის უხმარებლობის გამო ობ მოკიდებული.

ამ აღმოჩენამ, ცოტა არ იყოს, შემაკრთო. მივედ იქვე ერთ, ალბად, მაშინისტთან მინდოდა მეკითხა, თუ ეს რა ამბავია, მაგრამ მე იმას ვერა გავაგონე-რა, რადგან, მგონი, ნემეცი იყო. ამ დროს დავინახე ერთი ჩემი ნაცნობი და იმის პასუხად, თუ რას ვაკეთებ, უჩვენე იმასაც ეს მკვდარი.

შემდეგ, როდესაც მე ჩემს გზას დავადექი, ერთი კაცი შემხვდა იქვე მახლობლად, როგორც ეტყობოდა ესეც რკინის გზაზედ მოსამსახურე უნდა ყოფილიყო და ჩემს კითხვაზე, თუ ეს რა ამბავია მეთქი: მიპასუხა, რომ კაცს სძინავსო.—როგორ სძინავს, როდესაც მკვდარია-თქო; მან მიპასუხა, რომ ეგ კაცი რამდენიმე დღეა დაკარგულიაო, ალბად სიმთვრალით აქ შემოსულა დასაძინებლად და მომკვდარაო, და თანაც დაუმატა: ყმაწვილო თავი დაანებე არაფერს ხათაბალაში გაებაო.

მე, რაღა თქმა უნდა, დავადექ ჩემს გზას და მერე აღარა ვიცი რა.

ეს გახლდათ, როგორც ზევით მოვიხსენე სამშაბათს, 24 აგვისტოს.

საკვირველია, რომ ეს საქმე დღემდის არ გამორკვეულა და საიდუმლოდ დარჩომილა. იმედია სასტიკი გამოძიება დაინიშნება ამაზედ.

* * *

ახალციხიდამ გვატყობინებენ, რომ იქაურს საქალებო სასწავლებელს ჯერ არავითარი პასუხი არ მიუღია „წერა კითხვის საზოგადოების“ გამგეობისაგან იმ თხოვნის შესახებ, რომელშიაც სასწავლებლის გამგეობა დახმარებას ითხოვდა ხსენებულის საზოგადოებისაგან. სასწავლებლის გამგეობა მოუთმენლად მოელისო, რომ „წერა კითხვის საზოგადოება“ მალე მიაქცევს ყურადღებასა და დააკმაყოფილებს იმათ თხოვნასა.

ამას გარდა, გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ხსენებულის სასწავლებლისთვის საჭიროაო მასწავლებელი—ქართველი ქალი. ჯამაგირი ექნება 500 მან. მზა სადგომი და შეშა.

* * *

კახეთიდამ გვწერენ:

„ჩვენი პოეტი აკაკი ამ ჟამად მოგზაურობს კახეთში. ყველგან საზოგადოება დიდის აღტაცებით ღებულობს. უჰართვენ მეჯლისებს და სადაც ესწრება იმართება საერთო მხიარულება. ბევრი სიტყვები, შესხმა და ქება წარმოითქვა სადილებზედ. თვით პოეტმაც წარმოსთქვა რამოდენიმე სიტყვა და მშვენიერი, მგრძნობიერი, მისებური ლექსით შეამკო განსვენებულის დიდის პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის საფლავი. პოეტს დიდად მოეწონა ჩვენი მხარე, აღტაცებულია კახეთით.“

* * *

ფოთიდამ გვწერენ, რომ აღებ-მიცემობა მეტად დავარდნილია ჩვენ ქალაქში ამ დროითაო. მეტადრე ბუხტის, მაგრამ ამ აზრსაც, სასწავლებლის ინტერესებსაც ზედ გადაეფურთხა, შეგინებულ იქმნა მისი დარჩენით. ამბობენ დღესაც იმ ქალაქში პედაგოგი—ღამის გუშაგი გმირი უსირცხვილოდ დაიარებაო. ციცუასავით პირი მიულოკ-მოულოკია.

განსვენებული, შხამიანის კალმით ბოროტების მკვლელი ბერნე ამბობს თვის შესანიშნავ სტატიაში—„მენცელი ფრანცუზთ მჭამელი“—ფრანკფურტის პოლიციაზე: „ზნეობა რომ ყოფილიყო ჩემ ქალიშვილად, მე იმას უმალ აღვზრდიდი საროსკიპო სახლში, ვინემ მივანდობდი ჩვენის პოლიციის ზედა-მხედველობასა!! მე ამ ბერნეს სიტყვებს ასე გავიმეორებ: „მე რომ ქალი-შვილი მყვანდეს, უმჯობესად დავინახავ აღსაზრდელად მივაბარო საროსკიპო სახლში, ვინემ ზემო აღწერილის პედაგოგის ხელში ჩავაგდო ის.“ ჩემი შეხედულობა ეს არის. და თქვენ, მამებო და დედებო, რომელთაც მიგიბარებიათ ვაჟები, რომ იქცნენ ნამდვილ კაცებად-მოქალაქეებად, რომელთაც მიგიბარებიათ ქალები, რომ გახდნენ ნამდვილ ქართველთ, სომეხთ დედებად, რასშიაც ასე ძალიან ვსაჭიროებთ ორ თავენი, როგორც ქართველნი, ისე სომეხნი,—თქვენ—ვიმეორებ—მამებო და დედებო, როგორც გინდათ შეხედეთ ამ შესაზიზღარ თქვენის შვილების დამღუპველს მაგალითს.

---

...ი დღეობა ეხლაა, ორშაბათიდგან
...ოსათან ხრაკვაც მეყოფა.

ამ დროს ბალკონზე ამოდგმენ
...ს ოთხი კაცი ადამის შესამოსლით
... ნადირებივით ეტაკნენ ქალებს,
...რომლებიც წივილ-კივილით შეცვივ-
...ნენ. ვანოს და სტუძარს ეოცათ ეს
...ული. მთვარეს კამკამში გაუდის;
...ურჯელ თითო კვირაობით სახლში
... არის, დების და პატარა ძმის სი-
...ძარაა სახლი; მისი სახლის დირეზე
...ნამუსოებას ფეხი არ შეუკარებია
... ეს რა მოხდა! ჰოჩ ლად წამოხტე-
...ნ და მისცვივიან კარებებს. ვანოს
...ეტაკებიან ოთხ-ოთხი დაშიშვლე-
...ლი მხეცები, უჭერენ ყელში; დე-
...მეატყობინებენ მეზობლებს; გაჩნდე-
...მუ ღამისას ჩოჩქოლი; როცა კარ-
... სახრები მიაყოლეს შიშველ ტან-
... მაშინ და იკადრეს ბალკონიდამ
...ომხტომა. დაძვრთხალი ირმებივით
...ილდნენ ქუჩებს, ტანისამოსი კი
...ეს მიანებეს; ადამის სამოსელი
...ეს. გამოეკიდნენ, შემოიბრუნეს
...რეებით ირმები. ღაპიანი პედ გო-
... ისე გარბოდაო, რომ თვალი ვე-
... მოაწროო, მაგრამ წამოსწვდნენ
...ბით, დაუქნიეს ბეჭებში და ჩაიჩო-
... შემოტრიალდნენ რა ყურკენ და ქუ-
... გამოსავალში შეიპყრეს ირმები.
...ნის ტყაპა-ტყუპი მ ღლა ღმერთს
...ოდა და ძირს დედა-მიწა ირხეოდა
...ლით, რომ ამითანა მხეცებს ატა-
...ეს, ლამოდა გარღვეულიყო და
...რაფლ ჩაესანსლა იგინი, მაგრამ დედა-მიწამ თავი შეიკავა და თვის ღირსეულ შვილებს მიანდო მათზე განაჩენის დაწერა.

დაიჭირეს, ყურები უწიისეს, ააკრეს ბოძებზე; წარმოადგინეს ზნეობისმჭური პედაგოგი; დედამ შვილი ინატროს და ამისთანა: რა სანახავი იყო გახდილი, ამას ვერა პოეტის კალამი ვერ დასწერს. შიშველი პედაგოგი სდგას ხალხის წინ. მივა ერთი ახალგაზდა, იცინის და თვალებზე ხელს მიიფარებს, მნახველი ამ საშინელი სურათისა.

— დაიხედე შენ თავზე, ალექსანდრე ვასილიჩ, რას გევხარ! შეკადრება შენ, შენ რომ ღამე სახლში მშვიდობიან მოსახლეს მიუხტი? დაიხედე, როგორ მდგომარეობაში ხარ? ისე ურცხვად სდგეხარ შიშველი ამ ხალხის წინ, თითქო ტანთ გეცვასო. ამ ბრბო ხალხში, ვინ იცის შენი შეგირდებიც, ვაჟი, თუ ქალი, ურევიან და უცქერიან შენს უმსგავსოებას. რა უნდა სთქვან, რა უნდა იფიქრონ? რა მაგალითი უნდა იყოს შენ იმ ნორჩი და გაურყვნელი ბავშვებისთვინ? რა დასკვნა უნდა გამოიყვანონ შენის ქცევისაგან? აი, აი, აი! რამდენი უმანკო სული უნდა დაღუპოს შენმა მაგვარმა ზნეობითმა მაგალითებმა!! ვაი შენს ხელში საცოდავ ჩვენს ბავშვებს!! სთქვი, უსირცხვილოვ, სთქვი, რა ჰქენი?

— მეე? არაფერი. სპიჭკისთვინ მივედით და იმათ ცემა დაგვიწყეს.

— ტყუილს მოკლე ფეხები ახხია. სპიჭკისთვინ და ოთხ-ოთხი კაცი!? თქვენ გეგონათ, რომ ღარიბ ქოხშიაც იპოვიდით გარყვნილებას? ჯერ აქ არ ჩამოუნათებია თქვენს ჯოჯოხეთურ ვითომდა — განათლებას და ნურც ჩამოაწევინოს! ფუ!—შენს ნამუსს და პედაგოგობას! ფუი!—შენს აღმზდელობას და ფუი იმასაც, ვინც შენ გინახამს სასწავლებლების კედლებში!

უპანჩურეს ყველას და გაუშვეს კარგად დაბეჟილები.

გათენდა დილა. მივა საჩივრები თავის ალაგას. სამხედრო პირთ მაშინვე უპანჩურებენ სამსახურიდამ და ზოგს შენიშვნას მისცემენ. პედაგოგს? პედაგოგს ზეცა სწყალობს და უფალი თვისი, ზნეთ-მეისტერი. დღესაც ამშვენებს ქალაქსაო. დღესაც ამშვენებს სასწავლებლების კედლებსაო; დღესაც უმშვენებს მარჯვენას ბატონს თვისს უფროსსაო.

ქალაქი ყალყზე დადგა ამ სცენის გამგონე: ყველა ერთად და თვითეული ცალ-ცალკე იმეორებდა ამ შესაზარ სცენას. ყველას ეგონა, რომ მას მსწრაფლ მოაშორებენ სასწავლებელსაო. როგორ-ღა უნდა შეხვდოს შეგირდმა პირზე ამ საქციელის მასწავლებელსაო, ამბობდა ხალხი. ამისთანა ბილწი კაცისაგან რა უნდა შეითვისოს ბავშმა სიცუდის მეტი, ან რას გაუგონებს მასო. საზოგადო აზრი წინააღმდეგი იყო მისი დარჩე-

ში დაეცა ვაჭრობა. სანამ აქ მუშაობა იყო კიდე, სულს იბრუნებდნენ აქაური ვაჭრები, ეხლა კი შეუჩერდათ ვაჭრობაო. ზედიზედ მანანასებრ მოელიან აქაური ვაჭრები და მთელი ფოთის საზოგადოება ბუხტის აშენებასაო.

***

ჩვენ მივიღეთ დასაბეჭდად შემდეგი შენიშვნა:

„თქვენის პატივცემულის გაზეთის „დროების“ მე 163 №-ში „დღიურის“ ნაწილში იყო მოკლე განხილვა ჩემგან შედგენილ „პირველ დაწყებით საყმაწვილო სახელმძღვანელოსი“. იმ წერილში მცირედი შეცდომაა: მე გახლავარ გორში ზაკავკაზიის საოსტატო სემინარიის პირველ-დაწყებითი სკოლის მასწავლებელი ფ. ნათიშვილი და არა ფ. ნათიძე“.

***

დ. ხონიდამ გვაცნობებენ, რომ აქაურმა ფოჩტის ზედამხედველმა ბ. მე....შვილმა ერთობ ახირებული ჩვეულება შეითვისაო. ერთ წერილს არ გაუშვებს ისე ფოჩტიდამ, რომ არ გასხნასო. ხშირად ისევ დაბეჭდავს და ისე გაგზავნის დანიშნულებისამებრ, და მაგალითებიც ყოფილა, რომ გახსნილი წერილებიც მიუღიათ ზოგიერთებსო.

არ ვიცით, რამდენად მართალია ეს ამბავი.

***

ქვირილის სასწავლებლის მასწავლებელი ბ. ხუსკივაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ:

„დროების“ №-ში, 5 აგვისტოს, სხვათა შორის, იყო ორიოდე სიტყვა ნათქვამი ქვირილის ეკკლესიის მღვდელზე. რადგან ამ შენიშვნას ბევრნი მე მაწერენ და საყვედურებიც მესმის, გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ ამ შენიშვნის დამწერი მე არა ვარ“.

ვამოწმებთ, რომ ის შენიშვნა ბ. ხუსკივაძისაგან არ მიგვიღია ჩვენ.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტკოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი მარლვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტკოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—მარლვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტკოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლვების სისუსტ-ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტკოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირამანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტკოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტკოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი


დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაგაზიაში

**ეროვა**

თხზ. ნ. ნიკოლაძისა

გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი 15 კაპ.

ა. გ. მირზაშვილი ამით აცნობებს საზოგადოებას რომ პირველს ენკენისთვიდამ ის ხსნის საკუთრად პანსიონს და მოსამზადებელ კლასსებს. პანსიონში მიიღებიან სხვა-და-სხვა სასწავლებლების შეგირდებიც. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდამ. დაწვრილებითი ცნობის შეტყობა სკოლის და პანსიონის კანცელიარიაში ავჭალის ქუჩაზე, გიმნაზიის მახლობლად, დავით ავალიშვილის სახლებში, ან გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში.

(4—2)

**გორში**

ხიდის ახლო ისყიდება საუკეთესო სახლის ადგილი. ფასზე ეკითხოს ტფილისში ზ. ქარ-ა ი. ოქ ების-ძე მამაცოვს.

(3—2)

ახალი ქართული

**კარაბადინი**

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; **ქუთაისში:** მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

**ფასი ყდიანის ერთი მანეთი.**

ვიღებ მოსამზადებლად, ჩემს ხარჯზედ პირველის და მეორე კლასების შაგირდებს. დაწვრილებითი პირობების შეტყობისთვის ვითხოვ მიმართოთ ლაბარატორიის და ჭავჭავაძის ქუჩებ შუა, სახლში № 57.

(3—3)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**სახსოვარი**

ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე

შეკრებილი და გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ხუთი შაური.

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი

**მოთხრობანი**

წიგნი მეორე.

ი ყიდება **ტფილისში:** შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).

**ქუთაისში:** ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

**გორში:** მ. პერესელიძესთან.

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი

მწყემსის სტვირი

ლექსები, სიმღერები და ზღაპრები

ცნობის-მოყვარე ყმათათვის სკოლაში და შინ საკითხავად

ალაიანცისა

გამოცემა ვ. მ. შავერდოვის გაზეთის საგენტოსი.

ფასი ერთი აბაზი

(10—9)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში

**იგავ-არაკნი**

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუისგან გადმოქართული თ. რ. ერისთვისა.

**ისყიდება**

თფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

**Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древней грузіи).**

**сост. Д. П. Пурцеладзе.**

ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი


**ტაქსის**

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებათ 16 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის | | | |
| პირველის ხარისხის | — | 1 გირ. | 5 კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის | „ | —1 გირ. | — |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის | — | 1 გირ. | 5½ |
| მეორის | „ | —1 გირ. | 4 კ. |
| ჯვარის-მამის პური: | | | |
| პირველ ხარის. ლავაში | | 1 გირ. | 6 კ. |
| მეორის | „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის | „ „ | —1 გირ. | 4½ |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | — | 1 გირ. | 8 კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი | — — | —1 გირ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | | 1 გირ. | 9 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველი ხარისხის | — | 1 გირ. | — კ. |
| მეორის | „ | —1 გირ. | — კ. |

# თეატრალური განცხადება

15 სექტემბრიდამ დაიწყება ქართული თეატრალური სეზონი. უმორჩილესად ვთხოვთ ყველა ავტორებს და მთარგმნელებს, ვისაც კი მოეპოვებათ პიესები გამოგზავნონ 1 სექტემბრამდის რადგან მთელი სეზონის რეპერტუარი გამოცხადებული უნდა იყოს წარმოდგენების დაწყებისათანავე; ეს დაჩქარება მით უფრო საჭიროა, რომ 1 იანვრამდის 1883 წლ. პიესების ცენზურაში გატარება შეიძლება აქვე, ტფილისში, მას შემდეგ კი უნდა გაიგზავნოს უმაღლეს მთ ვრობასთან, და იმისათვის რომ ეს დიდი დაბრკოლება, ქართულ თეატრის შესახებ, თავიდან ავიცილოთ, ჩვენ კიდევ ვიმეორებთ ჩვენს თხოვნას, რომ პიესები რაც შეიძლება მალე გამოიგზავნოს შემდეგის ადრესსით: **Въ Тифлисъ въ редакцію „Дроэба“. Константину Семеновичу Месхи.**

ამასთანავე ვაცხადებთ, რომ ვისაც კი სურს ქართულ დრამატულ დასში დრო-გამოშვებით მონაწილეობის მიღება ან სურს შემოვიდეს სამუდამო მოთამაშედ, შეუძლიან ამავე ადრესსით მოგვმართოს პირობების შესატყობლად.

მველ მოთამაშეთ ვაუწყებთ, ვისაც სურსთ, შეგვეკრან კონტრაქტით იმ პირობებზე და წესებზე, რომელნიც დამტკიცებულნი არიან ქართული დრამატული საზოგადოებისაგან, პირველ სექტემბრამდის; რომელიც კი ამვადამდე არ შეგვეკრება კონტრაქტით, შემდეგში აღარ იქნება მიღებული ქართულ დასში.

მოთამაშეთა სახელ-გვარი, რეპერტუარი, აბონიმენტი, წარმოდგენების დღენი და თვითონ თეატრი, თუ სად გაიმართება წარმოდგენები—გამოცხადდება 1 სექტემბერს.

ქართული თეატრის საქმეთა გამგენი { ვ. აბაშიძე. კ. მესხი.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 26 Августа 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი